სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის N 4952114 შუალედური გადაწყვეტილების N4 პარაგრაფთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 08 თებერვლის №536202 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძვ. თბილისის რაიონში (სექტორი კრწანისი), გორგასლის ქ. №3 / ახუნდოვის ქ. №4-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის საფუძველზეც გარკვეული სარეკონსტრუქციო სამუშაოები განახორციელა ნებართვის მფლობელმა. მოგვიანებით, №536202 ბრძანების საფუძველზე გაცემული რეკონსტრუქციის მშენებლობის ნებართვა ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით(საქმე N3ბ/1605-13, რომელიც ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით).

მას შემდეგ რაც ბათილად იქნა ცნობილი N 536202 მშენებლობის ნებართვა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სასახურმა, 2015 წლის 03 აგვისტოს N 000112 დადგენილებით, დააჯარიმა შპს გლორია და დაავალა დემონტაჟი იმ საფუძვლით, რომ თითქოს ამ უკანასკნელმა, არსებული შენობის რეკონსტრუქცია განახორციელა შესაბამისი სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე.

თავად ზედამხედველბის სამსახური მის მიერ შედგენილ მითითებაში, შემოწმების აქტში ან/და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილებაში, არ უთითებს კონკრეტულ სამუშაოებს, რომლებიც მისი განმარტებით, იქნა უკანონოდ წარმოებული და რისი დემონტაჟის დავალებაც მისცა შპს გლორიას. არამედ, ზედამხედველობის სამსახური ზოგადად განმარტავს, რომ შპს გლორიას მიერ არსებული შენობის რეკონსტრუქცია განხორციელდა უნებართვოდ და ამიტომ, დააკისრა ჯარიმა *„არსებული შენობის უნებართვო რეკონსტრუქციისათვის“* (დადგენილების 1-ლი პუნქტი) და დაავალა *„არსებულ შენობაზე უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დემონტაჟი“* (დადგენილების მე-2 პუნქტი).

ჩვენი მოსაზრებით, აღნიშნული ჯარიმისა და დემონტაჟის დავალების საფუძვლად ზედამხედველობის სამსახურმა მიიჩნია N 536202 მშენებლობის ნებართვის ბათილობა. ე.ი. ზედამხედველობის სამსახურმა არა რომელიმე კონკრეტული სამუშაოს წარმოება მიიჩნია კანონსაწინააღმდეგოდ (უნებართვოდ), არამედ, ვინაიდან N 536202 მშენებლობის ნებართვა ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზედამხედველობის სამსახურმა მიიჩნია, რომ ამ ნებართვის ფარგლებში წარმოებული ყველა სამუშაო იყო უნებართვო. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მიგითითებთ, კომანიის მიერ განხორციელებული სამუშაოებიდან, კონკრეტულად სამუშაოს რა ნაწილი მიიჩნია ზედამხედველობის სამსახურმა უნებართვოდ წარმოებულად და რისი დემონტაჟი დაევალა შპს გლორიას, რადგან ამგვარ კონკრეტულ სამუშაოებზე თავად ზედამხედველობის სამსახური არ უთითებს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში.

აღნიშნული დადგენილება შპს გლორიამ გაასაჩივრა სასამართლოს წესით. შპს გლორიას სარჩელი დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლომ ბათილად სცნო ზედამხედველობის სამსახურის 2015 წლის 03 აგვისტოს N 000112 დადგენილება, როგორც ჯარიმის დაკისრების, ასევე, დემონტაჟის დავალების თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2013 წლის 08 თებერვლის №536202 ბრძანების (მშენებლობის ნებართვის) ბათილად ცნობა არ შეიძლებოდა გამხდარიყო *„შპს ,,გლორია LLC GLORIA” -ს მიერ აღნიშნული ბრძანების პირობებში განხორციელებული ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოს უნებართვოდ მიჩნევის და პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი“.* აქედან გამომდინარე, თბილისის საქალაქო

სასამართლომ N 000112 დადგენილება სრულად სცნო ბათილად როგორც ჯარიმის დაკისრების, ასევე დემონტაჟის დავალების ნაწილში. ეს გადაწყვეტილება და სასამართლოს მსჯელობა გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, და ასევე, ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესმა სასამართლოს განჩინებით.